ნიანგი

19

გამოცემის 52-ე წელი, (№ 1461). ოქტომბერი. 1975. ფასი 20 კაპიკი.



ნახ. მ. აბაშიძისა

— გეტყობა, რთველი დაგიწყია!.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ოთარ ჭელიძე 50 წლისაა

**ცნობილ ქართველ პოეტს, „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს — ოთარ ჭელიძეს — დაბადების 50 წლისთავი შეუსრულდა. წლების მანძილზე იგი ჩვენი ჟურნალის მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო და ნაყოფიერად მუშაობდა ქართული სატირისა და იუმორის განვითარებისათვის. პოეტის სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებოდა და ცალკე წიგნადაც გამოვიდა „ნიანგის“ ბიბლიოთეკის“ სერიით.**

## ნიანგი — ოთარ ჭელიძეს

სულითა და გულით მოგილოცავ
შუაზე გაყოფილ ას წელიწადს!
ოთარ, მალარიჩი ჩემზე იყოს, —
კიდევ ორმოცდაათს გასძელი და ...

შენი ლექსები და პოემები,
შენი ბალადები, თარგმანები, —
როგორც ჭეშმარიტი ქმნილებები, —
თავისად აქცია ხალხმა ნებით!

ბრწყინავს მაგნიტური შენი არე
ნალვერდლებიანი ჰუმორითაც!
კარგი მონარდე ხარ, მშვენიერი, —
მაშინ, — დროზე შაში თუ მოვიდა!

დღეს შენ არ გაკლია, მგონი, ქება! —
ძმები გახვევია ქიტესებად!..
აწი პრემიებად მოიმკება
ის, რაც პოეზიად ითესება!

ბევრი ამირანმთა აგვიმართე!
მაგ გულს, აჯანყებულს,
გაუფრთხილდი!
სავალ გზებს ყოველთვის გაგინათებს
ორი მარაბდელი — მამულდიდი!

მრავალ მიუწვდომელ მწვერვალს
მიწვდი!
შესძელ ახალ ცეცხლთა მოტაცება!
რამე დამიწერე, ოთარ ჩემო,
თუკი სამისო დრო დაგრჩება!

# გაუცინარი

**დირექტორი** უხასიათოდ იყო და მიბრძანა, გამაცინეო.

ჩვენთან, შტატით, მასხარის თანამდებობა არ არის გათვალისწინებული, იყვნენ მთავარი ბუღალტერი, საქმიანი ეზოს უფროსი, უსაქმო განყოფილებების უფროსები და სიამოვნებით ითავსებდნენ ამ თანამდებობას, მაგრამ მოვიდა ეს ოჯახქორი და ფქვილიან ტომარასავით ამოაბრუნა და დაფერთხა მთელი შტატი: ერთი ფაბრიკა ამდენ დეგენერატს ვერ აიტანსო.

შემომეკიდა ცეცხლი. ამისთანა უჟმურის გაცინება უბრალო საქმე არ გეგონოთ!.. ბულდოზერი უნდა გამოაბა, ერთი — ზედა, ერთიც — ქვედა ყბაში და გაწი-გამოწიო, ისე კრიჭას ვერ გაახსნევინებ! თუ შესაჭმელი დაგინახა რამე, იცოცხლე, ისე დაგიბჩენს პირს, ნიკაპს მუხლისთავზე ირტყამს.

გავიხსენე რაღაც-რაღაცები და მოვხსენი პირი ტომარას:

— მთავარი ბუღალტერი რომ გაგვექცა, ხომ იცით?

— რას ამბობ, ბიჭო?! — რადიოლოკატორივით მომართა ყურები.

— საამქრომ ახალი სავარძელი დაუმზადა: ძველი ნავსია, ბუღალტრები ქალის თმის ფერივით იცვლებიანო.

— მერე, ბიჭო?

— დაუდგეს, ჩაიკეცა შიგ ესკალატორივით და, „ვაიო“, დააყოლა... ვეცით, ავწიეთ და ნიფხვის ამარა შეგვრჩა კაცი ხელში!

— ხო, ხო, ხო!

— ავადლიზეთ მავთულებიდან, როგორც იქნა, მოიცვა უბედურმა გამოდღლეზილი შარვალი და ვეღარ დავლანდეთ!

— ხო, ხო, ხო! ბუღალტერი საძებარი გვყოლია!

— არის უკვე, ბატონო! ამას წინათ, მოწინავეთა გამოცდილების გასაზიარებლად რომ იყვნენ, ახალდაბის კარადებს ჩვენი ტექკონტროლის ბეჭედი რომ ვუბათქუნეთ და ჩვენებურად გავასაღეთ, გახსოვთ?

— ხო, ხო! გადავრიეთ ხალხი!

— ჰოდა, იმათი დირექტორი ამ კარადების გამო კინაღამ შერეკილა ჭკუიდან. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ჯერ ჩვეულებრივი რა არის, შერეკილი რა უნდა იყოს, მთელი შტატი მიუხსნ-მოუხსნია, მუშაობაში ხელს მიშლითო. დღეს იმათი ბუღალტერი მოვიდა, მაგრამ თქვენთან ვერ შემობედა!

— შევჭამდი, ბიჭო?

— მდივანმა გააფრთხილა, ამყრალებულია, ნუ შეხვალო!

— რაო?! — აიქოჩრა დირექტორი, მაგრამ აღარ ვაცალე:

— გასაღების უფროსს რა დაემართა, არ იკითხავთ?

— თქვი, ბიჭო!

— წუხელ ახალსახლობაზე წაუყვანიათ, შემოუსხდნენ თურმე მაგიდას, უცვნია იმ უბედურს: ჩვენი ფაბრიკისა ყოფილა. მანამდე უქია, სანამ თქვენი სადღეგრძელო არ შეუსვამთ. მერე, გოჭები რომ დააყარეს იმ შენს მოწონებულ მაგიდას, სიმძიმისაგან ჩაუბუქნავს იმ უპატრონოს და მეწყერივით დაცემია რამდენიმეს, ყველა გამოუთრევიათ, გასაღების უფროსს კაციშვილი არ წახმარებია, ახია მაგაზეო. მერე მოსულა სასწრაფო დახმარების მანქანა და წაუყვანიათ უბედური...

— სადაა მომარაგების უფროსი? — გაცეცხლდა დირექტორი.

— დამხმარე მასალების საწყობი რომ გამოცარიელდა და ერთი კვირაა საამქროები გაჩერებულია, იქ ჩავიდა!

— რას აკეთებს იქ?

— დომინოს თამაშობენ ნაძლევზე!

— ახლავე მომითრიე აქ!

— თქვენ რომ ჩახვიდეთ, უკეთესია, ბატონო! ერთი ნახეთ, მაგ უნიჭოს მაგიდის ქვეშ რომ აძვრენენ დაოთხილს, სიცილით მოკვდებით!

აქ დამთავრდა ჩემი „ტაკიმასხარაობა“. დირექტორმა კატაპულტასავით მაქსიმუმამდე ჩამოწია ქვედა ყბა და პირდაპირი დამიზნებით მბუთქა:

— გაეთრიე აქედან, შე მამაძაღლო!

**აკაკი მუხურაძე**



ნახ. მ. აბაშიძისა

საჩხერე-ჭალის ავტობუსში, მგზავრებთან ერთად. პირუტყვიც გადაჰყავთ.

— ვინ არის ბოლო?
— მე-ე-ე!..

# ყურებზე ხახვი დამაჭრეს

**ალბათ**, წლებმა ჰქნეს: ბოლო ხანს ძალიან დავმძიმდი ჭკუითა და გონებით, მაგრამ, რომ ამბობენ, სწავლა სიბერემდეო, მართალი ყოფილა. ჩემი მეზობელი, ამ ორი კვირის წინ, ქუჩაზე გადასვლისას, მანქანას წაუქცევია, კანჭი გაუფხაჭნია ოდნავ... და, მერე, ფულიანი დაბრუნებულა სახლში!

ახლაღა შევხედე ქუჩას ფხიზელი თვალებით: ეს ოხერი შოფრები ისე დაარბენინებენ მანქანებს, გადასვლისას თუ არ ირბინე, ვერ გადაასწრებ! თუ ქუჩაში თვალი შეგასწრეს, არ დაგიდევენ, რომ დარბაისელი, მძიმე წონის კაცი ხარ, — მთელი სისწრაფით გამოექანებიან, რათა, რამენაირად, აგაძუნძულონ! ერთი სიტყვით, გაგაქცევენ და ამით ირთობენ თავს. ჩემი მეზობელი, თურმე, არასოდეს გარბოდა... მეც გადავწყვიტე, არ გავქცეულიყავი!. სადაც ჩემი ნება იყო, იქ გადავდიოდი ქუჩაზე. აბა, სად მეძებნა ამსიმძიმე კაცს ზებრასავით აჭრელებული გადასასვლელები?! კინოში მინახავს, ინდოეთის ქუჩებში ზოგჯერ ძროხა გამოაბოტებს, შოფრები კი მოწიწებით უთმობენ გზას, მანქანებს აჩერებენ... მე რითი ვარ ნაკლები?!.

გამოქანებული მანქანა რომ სიგნალით იკლებდა ქუჩას, მე გუნებაში მეცინებოდა: „თუ ძმა ხარ, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! დამაჯახებ და გაგასინჯებ, ხურმა რა ხილია, ან კილო რა ღირს!“

ასე დინჯად დავდიოდი შუა ქუჩაში და შოფრებიც ბუზს ვერ მიფრენდნენ. ერთხელაც გადავდივარ ქუჩაზე, ვიღაც გიჟს გამოჭენებული მოჰყავს მანქანა და აყვირებს კიდეც: გაიქეცი, დროზე გამეცალეო!..

„ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! შენმა მზემ! ამას წინათ, ჩემმა მეზობელმა ერთ წაბიძგებაში ხუთი აილო!..“ — ამის გაფიქრება და... აყვირებული მანქანა მეკვეთა კიდეც!..

ახლა მე ჩავირთე. ეტყობა, მოკლე ჩართვა მომივიდა, თვალებიდან ნაპერწკლები მცვიოდა, ისე ვკიოდი!.. ელდარაფრით გამომრთეს!..

საავადმყოფოში გამაქანეს, შემბინტეს და საწოლზე დამდეს. რაკი ველარ ვინძრეოდი, სარკე მოვითხოვე, ჩავიხედე და, რას ვხედავ: ბინტებში ვარ გახვეული, — ცხვირზე საკერებელი მადევს და თეთრ თაბაშირში შეზელილი ყურებიც ხინკლებივით მიწყვია საფეთქელთან.

„ხეტა, ხახვიც თუ დამაჭრეს?! დამაჭრიდნენ, მაშ, როგორ?! უხახვო ხინკალი ვის გაუგონია?!“

ძალიან არ მინაღვლია. ვიწექი და მანქანის პატრონს ველოდი. გავიდა ერთი დღე!.. მეორე!.. არავინ ჩანს!.. ბოლოს, მილიციელის ფორმაში გამოწყობილი კაცი გამომეცხადა და რაღაც სხვა კილოზე დამიწყო ლაპარაკი. ვატყობ, გამოღმა მედავება, რომ გაღმა თვითონ დარჩეს...

ავდექი და მოკლედ მოვუჭერი: ტყუილად ეწვალები, თუ მორიგება არ მოხდა, ისე შერიგება არ იქნება-მეთქი!

— კეთილი და პატიოსანი, გაგვაცანი შენი აზრიო! — გაეხარდა.

ეგონა, მიამიტ კაცთან ჰქონდა საქმე.

— თუ იცი, რა ღირდა სააღდგომოდ კილო ბატკნის ხორცი? — შევეკითხე.

ამხედ-დამხედა და ამრეზით მითხრა:

— შენ რა?! მართლა მამა აბრამის ბატკანი ხომ არ გგონია თავი?!

„აკი ვთქვი, უჭკუო ვგონივარ“, — გავიფიქრე.

— რამ გამაბატკნა, კაცო? ას თექვსმეტი კილო ვარ!.. და, საერთოდ, ბატკნებს ამოუწყდათ პატრონი! სიტყვამ მოიტანა და ვთქვი!.. ახლა სხვას გეტყვი: კილო ინდაურის ხორცი ხომ ჯდება თუმანი? ვარიისა — თხუთმეტი მანეთი?.. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ საქონელი არა ვარ?! კაცი ვარ!..

როგორც იყო მიმიხვდა, თვალები მოუწყლიანდა...

— კილოში რას თხოულობ? — მკითხა განდობილად.

— სამ თუმანს კაპიკი არ დააკლდება!

არაფერი უთქვამს, დაჯდა და ანგარიში დაიწყო:

ას თექვსმეტი სამზე... 3480 მანეთი, ესე იგი, 348 თუმანი! ცოტა გამოდის, არ გეყოფა! — თანაგრძნობით შემომხედა!... ანგელოზის სახე ჰქონდა!..

— აბა, მაშ, რამდენი?! — სიხარულისაგან ენა დამება.

ახლა გამჭოლად შემომხედა:

— მანქანის აღდგენა ოთხი ათასზე მეტი დაგიჯდება!

— ??!!

— მგონი, ციხეც მოგიწევს! — „დამაიმედა“.

წნევამ ამიწია!.. მინდოდა, ყურები ჩამომეყარა, მაგრამ თაბაშირმა არ დამანება!..

ელგუჯა მერაბიშვილი

---

## მონჯღრეული კარი

მეცამეტე კორპუსის სადარბაზოს კარი
მოინჯღრა და დღედაღამ უბერავდა ქარი...
უცებ საქმე გაუჩნდა უცნობსა და ნაცნობს:
— უნდა სახლმმართველობას ვაცნობოთო, კაცო!
სახლმმართველმა ურჩია:
— რა მღვდელივით გაწელით,
ადექით და, რაცა თქვით, განცხადებად დაწერეთ!
ჰოდა, დაჯდნენ, დაწერეს
(სტილი აქ დაცულია):
„ყურადღებას ჩვენს კორპუსს არ აქცევენ სრულიად,
ათი დღეა, მოინჯღრა სადარბაზოს კარი,
აღარ იკეტება და მოსისინებს ქარი.
ესთეტიკა კი არა, ავდარი თუ დარია,
სახიფათოდ გამეფდა ანტისანიტარია.
ეს არ შეეფერება ჩვენს დიდებულ ეპოქას!
ათი დღეა, ვითმენთ და უკარობა გვეყოფა!..“
განცხადებას ხელს აწერდა კაცი ოცდათორმეტი:
პეტრე, პავლე, გოგი, ვანო, ავქსენტი თუ დომენტი...

განცხადების პასუხს ათჯერ მიაკითხეს ფუჭადა,
ეტყობოდა, საქმეს კარგი პირი რომ არ უჩანდა...
მერე მსგავსი განცხადება გაამრავლეს ოცადა,
ჰოდა, ერთი საჩივარი სადღა არ გამოცხადდა!...
არც რადიო გამოტოვეს,
აღარც—ტელევიზია,
მოითხოვეს კონტროლი და სასწრაფო რევიზია...
გაამაგრეს განცხადება სიტყვის კორიანტელით:
„ვ ი ღ უ პ ე ბ ი თ!“
„მ ო გ ვ ე შ ვ ე ლ ე თ!“
„უ თ ქ ვ ე ნ ო ბ ი თ  გ ა ვ წ ყ დ ე ბ ი თ!“
„მ ო გ ვ ი ს წ ა რ ი თ  ს უ ლ ი ე რ ს ო!“
„უ კ ა რ ე ბ ო დ  რ ა  ვ ქ ნ ა თ ო?!“
„კ ა რ გ ი  ა რ ი ს,  თ უ  ა მ  ფ ა ქ ტ ე ბ ს
თ ქ ვ ე ნ ი  თ ვ ა ლ ი თ  ნ ა ხ ა ვ თ ო!“

მაგრამ ბედი არ გინდა? —
უცებ დადგა დარი! —
მეორე დღეს იხილეს დაკიდული კარი!..
„დამნაშავეც“ იპოვეს, ჩამოსული სოფლიდან:
ვიღაც პირველკლასელი ჩხირკედელა ყოფილა!
აულია ლურსმანი, მერე მისი ჯანი...
ჰოდა, გასწორებულა მინჯღრეული კარი!..

ავთანდილ გურგენიძე

ნახ. გ. ფირცხალავასი



უსიტყვოდ



რაციონალიზაცია თვითმომსახურების მაღაზიაში

ნახ. რ. სანადირაძისა



— შენი ნაცნობი ვარ, კაცო! ზედმეტს რატომ მახდევინებ?!
— სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ნაცნობ-უცნობი არ ვიცი მე!



უსიტყვოდ

# მწყემსის ნაამბობი

მთაზე, ცხვრის ერთ დიდ ფარაში,
მგლები დაგვესხნენ, ტიალნი,
ძაღლები შეხვდნენ, შეიბნენ,
შეიქმნა ორომტრიალი...

მგელმა რომ ცხვარი მოგვტაცა
და გავლო მცირე მანძილი,
თოფი ვესროლე მტაცებელს,
ცხვარი დააგდო განძივით.

ეს გამგემ სოფელს აცნობა
(რა ენწავლება გამოცდილს!)
სოფლის თავკაცნი მოვიდნენ,
რაც ჩაიდინეს, გავოცდით:

მიბრძანეს — „გამოარჩიე
ფარიდან ხუთი ბედილა!“
მოვრეკე, სწრაფად დალადრეს...
(ჩემთვის გამწარდა ეს დილა.)

გაატყავეს და ჩაყარეს
ხუთივე ერთად „ვილისში“.
ტყავები ჩვენ დაგვიტოვეს,
ხორცი წაიღეს თბილისში.

არ იდარდოთო, — თან გვითხრეს, —
თვითონ შევადგენთ აქტებსო,
სულ ჩამოგაწერთ დანაკლისს,
გვინდა, სიკეთე დავთესოთ.

ორფეხა მგლები ყოფილან,
ო, ძნელად ხელის სახლები.
მათ ველარც თოფი ვესროლე,
ვერც მივუსიე ძაღლები.

ალექსი ნამორაძე

ნახ. [illegible] აბაშიძისა



— შემარცხვინა კაცი... ყველაფერზე ტაშისცემას რომ არის მიჩვეული, გამოსათხოვარ სიტყვაზედაც დასცხო!..

ფელიქს დერეცკი

## ნაკრძალი

(ტ ყ ი ს შ რ ი ა ლ ი, ფ რ ი ნ ვ ე ლ თ ა გ ა ლ ო ბ ა, ტ ო ტ ე ბ ი ს მ ტ ვ რ ე ვ ი ს ხ მ ა).

**ტურისტი:** ეს არის ნადირთა ცნობილი სამეფო, რომლის შესახებაც ამდენი მსმენია?

**მეტყევე:** დიახ, ჩემო ბატონო! ჩვენ აქ ცხოველებს ისეთი პირობები შევუქმენით, იშვიათად თუ შეხვდებით სადმე.

**ტურისტი:** გასაგებია, ეს ხომ ნაკრძალია!

**მეტყევე:** თანაც როგორი ნაკრძალი! ნამდვილი სანატორიუმია. ნადირებს ზამთრობით დამატებით საკვებს ვაძლევთ. მათი უბრალოდ შეშინებაც კი აკრძალულია, თორემ ნადირობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

(ი ს მ ი ს გ ა ს რ ო ლ ი ს ხ მ ა).

**ტურისტი:** მაშ, ეს რა არის?

**მეტყევე:** ეგ მოგეჩვენათ.

**ტურისტი:** როგორ გეკადრებათ! აშკარად გავიგონე, რომ ვიღაცამ გაისროლა.

**მეტყევე:** იცით რა, საერთოდ... არის ერთი... ე.... რაც არის, არის, გეტყვით, მხოლოდ საიდუმლოდ. აი, როგორ გითხრათ, ვარშავიდან ინსპექტორი ჩამოვიდა და ისვრის. ისე, პირადი სიამოვნებისათვის.

**ტურისტი:** ნადირობს?

**მეტყევე:** ისეთი სულელი კი არ არის, რომ ჰაერში ისროდეს. ჩვენები ანგარიშს უწევენ. რაც არ უნდა იყოს, ინსპექტორია, პრემიებს ანაწილებს, ჯილდოზე ადგენს. ორ ირემს გააგორებს და, ჰაიდა, სახლისაკენ! ასეთია მისი ნორმა.

(ი ს მ ი ს გ ა ს რ ო ლ ი ს ხ მ ა).

**ტურისტი:** ეს ვინღაა?

**მეტყევე:** ეს?.. სავოევოდოს უფროსია, მარტო კურდღლებზე ნადირობს.

**ტურისტი:** მაგრამ ახლა, მგონი ნადირობა აკრძალულია.

**მეტყევე:** ეეე... თქვენ რა, განა არ იცით, რომ უფროსისათვის აკრძალვა არ არსებობს? ასეთ ფიგურას როგორ აუკრძალავ!

(ი ს მ ი ს გ ა ს რ ო ლ ი ს ხ მ ა).

**ტურისტი:** კიდევ არის ვინმე?

**მეტყევე:** ეს ჩვენი ბიჭია მაზრიდან. ჩამოდის ხოლმე დროდადრო შესამოწმებლად, ნადირთა მოვლა-პატრონობის საქმე როგორ არის დაყენებული, ჰოდა, რა თქმა უნდა, უყვარს ხოლმე ორლულიანით ნაკრძალში გავლა.

(ი ს მ ი ს გ ა ს რ ო ლ ი ს ხ მ ა).

**ტურისტი:** ეს ვინღაა?

**მეტყევე:** ერთი წუთით, ერთი წუთით, მე ცოტა დავიბენი. მარცხნივ ინსპექტორია, მარჯვნივ — უფროსი, უკან — აი, ის მაზრიდან რომ არის, ხოლო მეოთხე... ხალხო, მიშველეთ, ნაკრძალში ბრაკონიერია!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

# საით მიდის მედიცინა?

მეგობრული შეხუმრებით — ჩემს კოლეგებს!

როგორც ცნობილია, წინათ გარკვეული პროფილით სპეციალიზირებული ექიმები არ იყვნენ. ყველა ექიმი მკურნალობდა ყოველნაირ ავადმყოფს.

ასე იყო დიდხანს. გავიდა ხანი. კაცობრიობა წავიდა წინ და არც მედიცინა გაჩერდა ადგილზე. თანდათან მოხდა ექიმთა დიფერენცირება ვიწრო სპეციალობის გზით.

ყველაზე გაბედულმა ნაწილმა გადაწყვიტა, დანით გადაეჭრა მკურნალობის საკითხი. ეს ექიმები, შემდგომში, ქ ი რ უ რ გ ე ბ ა დ იქნენ წოდებულნი.

ზოგმა მომავალს მიაპყრო თვალი და მომავალი თაობის ჯანმრთელობით დაინტერესდა. ამით საფუძველი ჩაეყარა პ ე დ ი ა ტ რ ი ა ს.

ქალებმა გაიჩინეს საკუთარი ექიმები, რომლებიც მ ე ა ნ ე ბ ა დ და გ ი ნ ე კ ო ლ ო გ ე ბ ა დ მონათლეს.

ანალიზების გარეშე გაძნელდა დიაგნოზის გაანალიზება, ამიტომ გაჩნდა ლაბორატორიები. შესაბამისად, ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი სპეციალისტები — ლ ა ბ ო რ ა ნ ტ ე ბ ი.

ინფექციებთან საბრძოლველად გამოჩნდნენ ი ნ ფ ე ქ ც ი ო ნ ი ს ტ ე ბ ი, რომლებიც ეპიდემიასავით მოედვნენ მთელ მსოფლიოს და შეზღუდეს გადამდებ სნეულებათა გავრცელება.

ნერვული ავადმყოფებით ნერვებაშლილი ექიმები იძულებული გახდნენ ნ ე ვ რ ო პ ა თ ო ლ ო გ ო ბ ა დაეწყოთ. აქედან ზოგი უფრო შორს წავიდა და ფ ს ი ქ ი ა ტ რ ი ა ს დაეუფლა.

ექიმთა გარკვეული ჯგუფი საგულდაგულოდ შეიარაღდა შეუიარაღებელი თვალით უხილავი სამყაროს წარმომადგენლების — მიკრობებისა და ვირუსების შესასწავლად. ამ ექიმებს მ ი კ რ ო ბ ი ო ლ ო გ ე ბ ი და ვ ი რ უ ს ო ლ ო გ ე ბ ი დაარქვეს.

ასე და ამგვარად, შემდგომში გაჩნდა ო ფ თ ა ლ მ ო ლ ო გ ი, ლ ა რ ი ნ გ ო ლ ო გ ი, ს ტ ო მ ა ტ ო ლ ო გ ი, რ ე ნ ტ გ ე ნ ო ლ ო გ ი, ვ ე ნ ე რ ო ლ ო გ ი, უ რ ო ლ ო გ ი, ა ნ ე ს თ ე ზ ი ო ლ ო გ ი და სხვ.

ასეთი დიფერენცირების შემდეგ მაინც დარჩნენ ექიმები, რომლებმაც არ ისურვეს რაიმე ვიწრო სპეციალობის გზით წასვლა. ამ ექიმებს თ ე რ ა პ ე ვ ტ ე ბ ი უწოდეს.

თითქოს ამით ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მედიცინა, ისე როგორც სხვა მეცნიერება, მიღწეულით არ დაკმაყოფილდა. ასპარეზზე გამოვიდნენ ცალკეულ დაავადებათა სპეციალისტები: რ ე ვ მ ა ტ ო ლ ო გ ე ბ ი, ფ თ ი ზ ი ა ტ რ ე ბ ი, ო ნ კ ო ლ ო გ ე ბ ი, მ ა ლ ა რ ი ო ლ ო გ ე ბ ი, ჰ ე ლ მ ი ნ თ ო ლ ო გ ე ბ ი და სხვ.

ქირურგთა დიფერენცირების შედეგად გაჩნდა მუცლის ღრუს ქირურგია. განცალკევდნენ აგრეთვე ტ რ ა ვ მ ა ტ ო ლ ო გ ე ბ ი და ო რ თ ო პ ე დ ე ბ ი. განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გულის ქირურგიამ.

ნევროპათოლოგიით დაინტერესებულ ქირურგთა და ქირურგიით გატაცებულ ნევროპათოლოგთა ხარჯზე წარმოიშვნენ ნ ე ი რ ო ქ ი რ უ რ გ ე ბ ი.

პედიატრებს გამოეყვნენ მ ი კ რ ო პ ე დ ი ა ტ რ ე ბ ი, მიკროპედიატრებს — ჩ ვ ი ლ ბ ა ვ შ ვ თ ა ე ქ ი მ ე ბ ი.

სხვებს არც ს ტ ო მ ა ტ ო ლ ო გ ე ბ ი ჩამორჩნენ. კ ბ ი ლ ი ს კ ა რ ი ე ს ი ს, პ ი ო რ ე ი ს ა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ ჩამოაყალიბეს ცალკე კაბინეტი, რომელსაც თერაპიული უწოდეს. კბილის ამოსაღებ კაბინეტს კი — ქირურგიული. სრულიად დამოუკიდებელი გახდნენ პ რ ო თ ე ზ ი ს ტ ე ბ ი.

ამჟამად, თითქმის ყველაფრის ანალიზები კეთდება, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ საკითხშიც იქნება წინსვლა ახლო მომავალში. შეიძლება სავალდებულო გახდეს ცრემლისა და ოფლის ანალიზიც.

ალბათ, არც ისე შორსაა ის დღე, როცა ექიმების კაბინეტებზე გაჩნდება წარწერები: „მ ა რ ჯ ვ ე ნ ა თ ი რ კ მ ლ ი ს უ რ ო ლ ო გ ი“, „მ ა რ ც ხ ე ნ ა გ ლ ა ნ დ ი ს ლ ა რ ი ნ გ ო ლ ო გ ი“, „ს ა შ უ ა ლ ო ა ს ა კ ი ს ქ ა ლ თ ა გ ი ნ ე კ ო ლ ო გ ი“, „ზ ე დ ა კ ი დ უ რ ე ბ ი ს ტ რ ა ვ მ ა ტ ო ლ ო გ ი“, „მ ა რ ჯ ვ ე ნ ა თ ვ ა ლ ი ს ო კ უ ლ ი ს ტ ი“, „ზ ე დ ა ს ა ს უ ნ თ ქ ი გ ზ ე ბ ი ს თ ე რ ა პ ე ვ ტ ი“, „ზ უ რ გ ი ს კ ა ნ ი ს დ ე რ მ ა ტ ო ლ ო გ ი“, „ქ ვ ე დ ა ყ ბ ი ს ს ტ ო მ ა ტ ო ლ ო გ ი“ და ა. შ.

კუჭ-ნაწლავის ახლანდელი ექიმებიდან შეიძლება მივიღოთ ოთხი ახალი სპეციალისტი: კ უ ჭ ი ს, თ ო რ მ ე ტ გ ო ჯ ა ნ ა წ ლ ა ვ ი ს, წ ვ რ ი ლ ი და ს ხ ვ ი ლ ი ნ ა წ ლ ა ვ ე ბ ი ს ა. შემდგომში შეიძლება თ ო რ მ ე ტ გ ო ჯ ა ნაწლავი ექიმებმა გ ო ჯ - გ ო ჯ ა დაინაწილონ და თორმეტი ახალი სპეციალისტი გაჩნდება.

აი, საით მიდის მედიცინა!

გიგლა ბახტაძე

ნახ. ბ. ფირცხალავასი




— აქ უკვე დავიწყეთ მიკრორაიონის მშენებლობა!

# ქაფვის „ნოვატორი“

იცნობ ონოფრეს?
შენთან სწავლობდა იგი!..
სწავლობდა-მეთქი: დროს ჰკლებდა ბურთით, ციგით,
ვერარას ჰვრეტდა, ლენჩი, ორჯერ ორს იქით.

ჩარჩენის მწარე შხამი იმდენ ხანს წოვა,
დრომ საფეთქლებთან კარგა სქლად მიათოვა
და მერვე კლასში სწავლა მთლად მიატოვა.

მას შემდეგ მინდვრად ბალახი ბევრჯერ გახმა,
თუ ერთი ცხოვრობს, ონოფრეც ცხოვრობს ახლა,
თან მედიდურობს: რომ მხვდება, ცხვირს სწევს მაღლა.

ბედმა (ზოგისთვის ის მოწყალეა ყოვლად!)
ამ ლექსის გმირი ხომ აზიარა დოვლათს, —
მზეთუნახავიც მოუსვა გვერდით ცოლად.

კი, დასტურ დაჰყვა ონოფრეს ძაღლის ბედი,
მაგრამ თუ თავს გრძნობს, ვით ცისფერ ტბაში გედი,
ჩვენში დარჩეს და, „ჯაფაც“ აქვს სხვაზე მეტი.

ის სულ პირველად ქუჩაში ჰყიდდა ნაყინს,
გუნდებად სდევდნენ ბავშვები „ცოცხალ საყვირს“
და უდგა ახლო ნავაჭრ ფულს, ჩეჩქად დაყრილს.

დიახ, ნაყინსაც ხალტურის სუნი უდის,
მაგრამ ხალტურა ტყუპისცალია ლუდის,
ქაფს-პლუს ონოფრე — უთავო მდიდარს უდრის.

კი, მართალია, დრო თაღლითს არა ზოგავს,
მაგრამ ონოფრე მაინც ვერ იგებს ძლომას,
დგას და თავისი ძველი არშინით ზომავს.

მეტიც: ის ნაღდი „ნოვატორია“ ქაფვის,
მზადაა, კათხას არ აკლდეს ერთი „ყლაპიც“,
ოღონდ აგართმევთ ზედმეტს „ორიოდ“ კაპიკს.

ორს — ორიოდე, ორი და... ასე შემდეგ —
უდრის კრაველის, ბეწვის თუ ტყავის შედევრს
და კიდევ განძით გავსებულ ჰურს თუ კედელს.

ეჰ, ლათაიებს მოუკვდეს თავი!.. მახლას!
ლუდს, ხინკალივით, ისეთი ჯადო ახლავს,
ყოველჟამს ძალუძს იქცეს ავტოდ თუ სახლად.

შვილებს არიგებს: „თავს ნუ მოიკლავთ სწავლით
და ნუ გაიწყვეტთ ილაჯს ჩარხით თუ წალდით,
ისევ ჩემ მიერ გაკაფული გზით წადით!“

ქიშვარდ ისაკაძე
(საკონკურსო მასალებიდან).

## ნახევრადსერიოზული აზრები

- **გადასასვლელი** იყოს, თორემ „ქიგული“ ხელად დაგეჯახება.
- **გამყიდველი** ზოგჯერ, პროდუქტის ნაცვლად, თვალს გვიხვევს.
- **ჰაერით** გატენილი თავი აგარაკად არ გამოდგება.
- **პენსია** ცხოვრების ბოლო ჰონორარია.
- **ცას** სულები აღარ სჭირდება, ისედაც გაბინძურდა ატმოსფერო.

გიგა მახვილაძე

ნახ. მ. ჭანიშვილისა



გუშინ სუფრაზე ერთი ჭიქა ღვინო არ შემარჩინე და დღეს რაღა მოგივიდა?!

იტალიურმა ჟურნალმა „ფამილია კრისტიანამ“ ამას წინათ რომში ნამდვილი აურზაური გამოიწვია . წინა ყდაზე უკანასკნელ მოდაზე გამოპრანჭული, ჰალსტუხით და მთელი მოდური ატრიბუტებით დამშვენებული ქრისტეს სურათი მოათავსა.

ვატიკანმა ჟურნალ „ფამილია კრისტიანას“ გამომცემლებს სასტიკი საყვედური გამოუცხადა „ღვთისადმი ასეთი უპატივცემულობისათვის“.

ნახ. გ. ლომიძისა



„ახალი მესია“

# ამერიკული ჟურნალებიდან

### შესაფერისი კანდიდატურა

— ამ ადგილზე ჩვენ ნამდვილად პასუხისმგებელი პირი გვჭირდება!
— ზუსტად საჩემო ადგილი ყოფილა, სერ! ადრე, სადაც კი ვიმუშავე, ყველგან პასუხისგებაში მიმცეს!..

(„რიდერს დაიჯესტი“)

### ასაკობრივი სხვაობა

მოხუცი ეუბნება ახალგაზრდა კაცს, რომელიც ბებრებს დასცინის:
— 20 წლის ვირი 80 წლის კაცზე ხნიერად ითვლება!

(„ბიტს ენდ პისეს“)

### ოჯახური ავანჩავანი

სანამ საშუალო ამერიკელის ოჯახს შვილის ყოლის საშუალება გაუჩნდება, უკვე შვილიშვილები ჰყავს.

(„ლუკი“)

### დიალოგი თეატრში

— როდის ჩართავენ სინათლეს სცენაზე?! არაფერი მესმის, როდესაც ასეთი სიბნელეა!
— მეც შენსავით ვარ: აბსოლუტურად არაფერი მესმის, თუ სათვალე არ გავიკეთე!

(„ჩიკაგო სან-ტაიმს სინდიკეიტ“)

* * *

— შეგიძლიათ ამ ბეჭედზე ამომიტვიფროთ „მ ე რ ი ს — ჯ ო ნ ი ს ა გ ა ნ“?
— შემიძლია. ოღონდ გირჩევთ, მხოლოდ „ჯ ო ნ ი ს ა გ ა ნ“ მივაწეროთ!

(„ვუმან“)

### მონოლოგი

ცოლ-ქმრის საუბარი.

(„ფემილი ლაიფ“)

* * *

— ისტორია მეორდება და სწორადაც იქცევა. განა ადამიანები ყურს გიგდებენ, როცა იმათ ერთხელ რამეს ეუბნები?

(„რიდერს დაიჯესტი“)



— ძვირფასო ნიანგო, დუშეთის რაიონის სოფელ ძველი ოსებიდან გაწუხებთ: ჩვენი სოფლიდან მეზობელ სოფლამდე 3 კილომეტრია. იქ ავტობუსი ამოდის რაიონის ცენტრიდან. ჩვენ სოფელში კი — არა. გვპირდებიან, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. მედპუნქტზე, ფოსტაზე, მაღაზიასა და ქუჩის განათებაზე არაფერს ვამბობთ!..

* * *

— თბილისის თემქის დასახლების მე-11 მიკრორაიონის მესამე კვარტალის 38-ე და მე-40 კორპუსების მცხოვრებნი გირეკავთ, საყვარელო ნიანგო! ამა წლის აპრილის თვეში ვიზეიმეთ ახალსახლობა. მას მერე ველით: ლიფტს, გაზს, ცხელ წყალს, ხანდახან — ცივ წყალსაც, მაგრამ ლოდინმა მოთმინება დაგვილია, ულიფტობამ კი — ძალ-ღონე. პირველ დღეებში ავდიოდით მე-14 სართულზე, ახლა კი მეოთხემდეც ვეღარ ავდივართ...

* * *

— ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათიდან ვართ, ჩვენო ნიანგო! უწყლობას განვიცდით. გადავწყვიტეთ, ყველას მივმართოთ, რაც ქვეყანაზე წყლის გამყვან-გამომყვანია!.. იქნებ, ყურადღება მოგვაქციონ! წყლის მაგიერ, ერთი ვედრო დოკუმენტები დავაგროვეთ და ყველა თქვენ გამოგიგზავნეთ! იქნებ, გადახედოთ და გვიპასუხოთ რამე?!
— მივიღეთ თქვენი დოკუმენტები, გადავხედეთ კიდეც, წვეთი წყალი არ გაუვა, ისეა შედგენილი. ალბათ, ამას გაითვალისწინებენ!

* * *

— თბილისიდან გოგებაშვილის ქუჩის მცხოვრებნი გაწუხებთ, ჩვენო ნიანგო! ამ ქუჩაზეა მწერალთა სახლი, სადაც ვცხოვრობთ მწერლები და ჟურნალისტები ამ სახლის ბინადართა უმრავლესობა ვმუშაობთ მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე გამომცემლობებსა და სტამბაში, ან დაკავშირებულნი ვართ მათთან ყოველდღიური მოღვაწეობით. ტრანსპორტის საკითხი კი ძალზე მოუგვარებელია, გვიჭირს ყოველდღე ტაქსის ძებნა... იქნებ, თქვათ, ფეხით სიარულს რა სჯობსო, მაგრამ ყოველთვის ფეხით ვერ ვივლით საჩქარო საქმეებზე. ამიტომ, გთხოვთ დაგვეხმაროთ და № 15 ავტობუსმა ძველი სვლა-გეზით იაროს, თანაც გამოჰყონ იმდენი მანქანა, რომ გაჩერებაზე დიდხანს არ ველოდოთ!..
— ჩვენო ძვირფასო მწერლებო და ჟურნალისტებო! ჩვეულებრივი კი არა, ფრთოსანი ავტობუსების შოვნაში დაგეხმარებით!

ჟანი სიხარულიძე

ნახ. ლ. მართაშვილისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგის ფოსტა

**თბილისის** აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებიდან წერილი მოვიდა: ფაბრიკაში სასაქონლე ღერძების უკმარისობაა, ამის გამო დაზგების მოცდენის შემთხვევა არისო.

რედაქციამ წერილი საწარმოო გაერთიანების დირექციას გადაუგზავნა, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ: **„... როგორც კი შემოვიდა სიგნალი წარმოებიდან სასაქონლე ღერძების (როლიკების) არასაკმარისობის შესახებ, დირექციამ როლიკების დასამზადებლად მაშინვე შემოიტანა მაგარი ჯიშის ხის მასალა, რის შემდეგაც ივნისის თვეში დამზადებული იქნა 80 ცალი სასაქონლე ღერძი... ამჟამად წარმოების მუშაკებს საპრეტენზიო არაფერი არ აქვს“.**

* * *

**ჟურნალ** „ნიანგის“ № 11-ში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით — „ელემენტარული სირთულე“. აღნიშნულ წერილში ლაპარაკია ზესტაფონის რაიონის შორაპნის ელემენტების ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კვების ორგანიზაციასა და მის ნაკლოვანებებზეც. ზესტაფონის რაიკოოპერატივის გამგეობამ განიხილა ჟურნალში მოთავსებული კრიტიკული წერილი და პასუხი გამოგვიგზავნა: **„...გამგეობამ სასადილოს მომსახურე პერსონალი დაწყებული გამგიდან, კალკულატორისა და მზარეულის ჩათვლით გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და ამჟამად სასადილო დაკომპლექტებულია საქმის მცოდნე სპეციალისტებით“.**

* * *

**ქუთაისიდან** ქდანოვისა და აბაშიძის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური წერილი მოვიდა. სასმელი წყლის ნაკლებობაა გვწერდნენ, კოლექტიური წერილი დანიშნულებისამებრ გადაიგზავნა. ქუთაისის „წყალკანალტრესტის“ დირექციამ გვიპასუხა: **„... გატარებული ღონისძიების შედეგად აღნიშნული ქუჩების მოსახლეობა სასმელ წყალს ღებულობს 24 საათიდან დილის 6 საათამდე“.**

შუაღამისას რომ სასმელი წყალი გესტუმრებათ, აბა, რაღა დაგაძინებთ სიხარულისაგან!

* * *

**რედაქციაში** წერილი მივიღეთ: თბილისის № 7 ავტოტექმომსახურების სადგურში ადგილი აქვს უხეშ დარღვევებსო. აღნიშნული წერილი გადაეგზავნა საქ. სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს. პასუხმაც არ დააყოვნა: **„...შემოწმების მასალები ჩვენს მიერ გადაგზავნილ იქნა „საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოში და მიეცათ მითითება დამნაშავე ამხანაგების მიმართ გაეტარებინათ მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.**

**... ქ. თბილისის № 7 ავტოტექმომსახურების სადგურის უფროსს ამხ. ს. არსენიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო ბრიგადირი გ. თბილელისა და ხელოსან ვართანოვის საკითხი დასმული არის ადგილკომის წინაშე მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ“.**

## არ გეწყინოს!

ლანძღავ ენით —
უპიროთი:
„შე რეგვენო,
**მდილო შენო!“**
თათხავ დილით,
საღამოს კი
ბოდიშს უხდი:
„ნუ მიწყენო!“
ღამის არის,
სიტყვა სახრით
ცხრა მთას
იქით გადადენო,
უფლებასაც
აჰყრი წყენის:
„წადი ახლა,
ნუ მიწყენო!“
კვლავ:
ცოფსა ჰყრი,
პირში მუშტი
გსურს, ჩასჩარო,
ჩაუტენო...
მერე ღრუბლებს
გადაიყრი,
გაუღიმებ:
„ნუ მიწყენო!
· · ·
განა ხელით,
ლექსით უნდა
აგიწიონ
ყური შენო! —
თუ ღმერთი გწამს,
თუ გიყვარდე,
თუ კაცი ხარ,
ნუ მიწყენო!

ჩაჩა კაციაშვილი

ფელიქს კრივინი

## რწმენის ძალა

— შენობა ღია უნდა იყოს! — ღრმააზროვნად შენიშნავს კარის სახელური, როდესაც კარებს აღებენ.

— შენობა დახურული უნდა იყოს! — ფილოსოფიური დასკვნა გამოაქვს მას, როდესაც კარებს ხურავენ.

კარის სახელურის რწმენა დამოკიდებულია იმაზე, ვინ შეახებს ხელს.

## უსამართლობა

— დილიდან საღამომდე ვმუშაობ, — ცხარობდა ჯანსაღი კბილი, — და არავითარი მადლიერება! ჩამპალი კბილები კი, ინებეთ, ყველანი ოქროში არიან ჩასმულნი!.. რისთვის? რა დამსახურებისათვის?

თარგმნა კოტე ანთაძემ

ნახ. ა. კანდელაკისა



მიკრომომღერალი

## დარიგება

(იგავი)

**ბებერი** მელა, შვილებთან ერთად, სოროდან გამოსულიყო და მზისგულზე ნებივრობდა. ამ დროს მათკენ მომავალი კაცი გამოჩნდა.

მელამ შვილებს დამალვა უბრძანა.

უფროსი შვილი, რომელიც სხვებთან შედარებით ჭკუა-გონებით გამოირჩეოდა, გაჯიუტდა:

— დედი, მაგ კაცს არც ჯოხი აქვს, არც თოფი, თანაც ისეთი წყნარი, საყვარელი სახე აქვს, რომ ჩვენ არაფერს დაგვიშავებს.

— არა, შვილო, მაინც სიფრთხილე გვმართებს, — მიუგო მრავალჭირნახულმა მელამ, — მხეცი ხომ არ არის, ადამიანია, ვინ იცის, რა უდევს გულში!..

დ. ცირცელი

(საკონკურსო მასალებიდან)


მთავარი რედაქტორი
ზურაბ გეგეჭკორი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიჟნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 11/IX 75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/X 75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 3406. უე 12668 ტირ. 134.070. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ტ. ზანგურაშვილი, ლ. მართაშვილი, გ. მეტრეველი, რ. სანადირაძე, ვ. უსტინოვი, ჭ. ჭანიშვილი.



7/11 75
20.X

75-711

Индекс 76187



**სმიტის რასისტული „ტურიზმი“**

**როდეზიის** თეთრთა უმცირესობის რასისტული რეჟიმი ახალ ნოვატორულ აქციას ახორციელებს: აშშ-დან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან იწვევს ყოფილ ჯარისკაცებს. დაქირავებულთაგან განსაკუთრებით „ფასობენ“ კონგოს ვეტერანები და ვიეტნამის ომის მონაწილენი (ფასობენ ჰქვია — თვეში 1200 დოლარს პირდებიან). ჯარისკაცები როდეზიაში ჩადიან როგორც ემიგრანტები და... მაშინვე ჯარში ეწერებიან.

სმიტი როდეზიელი ხალხის თავისუფლების ჩასახშობად ახალ „ძლევამოსილ“ ლაშქარს ადგენს...

ნახ. გ. ლომიძისა







**სულისა და ხორცისათვის**

**საფრანგეთში** ქ. ლილის ერთ-ერთ ეკლესიაში, სკამებს გასათბობი აგრეგატები დაუყენეს. ცივ ამინდში მლოცველნი აპარატში ერთ ფრანკს ჩაუშვებენ და უზრუნველყოფილნი არიან ხანგრძლივი მესსა სურდოსა თუ ფილტვების ანთების გარეშე მოისმინონ.

უფალი ღმერთი სულებს უთბობს ადამიანებს, ტექნიკა კი — ხორცს!

**ჩვენთან არს ღმერთი და... ვისკი**

პრესვიტარიანელმა მღვდელმა, ვინმე მამაო რობერტ ჰენდერსონმა, წირვისათვის გამოიყენა ტელეგადაცემა. ამ ლოცვა-კურთხევის მთავარი არსი კი გახლდათ ვისკის პროპაგანდა. „...დაე, უფალი ნუ განაწყენდება და გაითვალისწინოს, რომ ვისკით მიღებული შემოსავალი ჩვენი სრულ კომპენსაციას უკეთებს იმ მცირეოდენ ზიანს, რაიცა ვისკი აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას!“ — გულმხურვალედ ღაღადებდა ხუცესი.

**განაწყენებული განგსტერები**

**ამ** რამდენიმე ხნის წინ ჯეკსონში (აშშ, მისისიპის შტატი) განგსტერებმა ქურდულად გატეხეს ქალაქის მეთოდური ეკლესიის სეიფი. რაოდენ დიდი იყო მათი წყენა, როდესაც სეიფში აღმოაჩინეს 200 ეგზემპლარი ლოცვისა, თემაზე — „არა იქურდო!“

**ავსტრალიური „ექსპორტი“**

**ავსტრალიაში** აღმოაჩინეს ორი იატაკქვეშა სინდიკატი, რომელთა ბიზნესი იშვიათ ფრთოსანთა და ეგზოტიკურ ცხოველთა კონტრაბანდაა.

სინდიკატის განგსტერ-აგენტების მიერ სხვადასხვა საშუალებით იგზავნება ეს ძვირფასი საქონელი საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. ფრინველებს აძინებენ, შემდეგ სპეციალურად მოწყობილი ჩემოდნებით და... ხელჩანთებითაც კი გააქვთ. უკან შემოაქვთ სინგაპურში შეძენილი ნარკოტიკები და ვალუტა.

ამ სინდიკატის განგსტერები არაფერს ერიდებიან: არც დაშინებას, მოსყიდვას, მკვლელობასა და ა. შ. ან როგორ მოერიდებიან რაიმეს, როდესაც, მაგალითისათვის, ოქროსფრთიანი თუთიყუში — მსოფლიოში უიშვიათესი ფრინველი, — 6 ათასი ავსტრალიური დოლარი ღირს.




